41
თეა წულუკიანი
ნაძალადევის მეუღლეობის
ერთად ავიხალისოთ ქართული ოცნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული ოცნება ნაძალადევში

დადიანის 104; ტელ: 266 15 88

წერონისის 132; 266 46 32

თემქა მე-10 ჯვ. 36ა ჯორჯ. ბ. 48;

ტელ: 595 00 81 27

დაგვიმეგობრდით ფეისბუქზე

www.facebook.com/თეა წულუკიანი ნაძალადევის მაჟორიტარად

ცხელი ხაზი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის

გთხოვთ, ნაძალადევის რაიონში მცხოვრებმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა (შშმპ) და/ან ოჯახის წევრებმა დარეკოთ ნაძალადევის საარჩევნო შტაბის ცხელი ხაზის ნომრებზე, რათა შეიქმნას რაიონში მცხოვრები შშმპ-ების დაზუსტებული მონაცემთა ბაზა. ეს საშუალებას მისცემს თეა წულუკიანს, რომ დახმარება აღმოუჩინოს ნაძალადევის რაიონში მცხოვრებ მაქსიმალური რაოდენობის შშმპ-ებს.

ცხელი ხაზი: 2 475 192; 2 475 193
დარეკეთ ყოველდღე 10:00-დან 20:00 საათამდე.

ადამიანი, რომელიც არ დაემალება ხალხს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიმართვა ნაძალადევს

მეგობრებო! გთხოვთ, გაეცნოთ ამ მიმართვას, ჩემს ბიოგრაფიასა და დაპირებებს, შემდეგ ჯი მხარი დამიჭიროთ. არ ვაპირებ, დრო ცრუ დაპირებების ჯითხვაში დაგახარჯინოთ. პირდაპირ გეტყვით რატომ მოვდივარ ნაძალადევში: მინდა გყავდეთ ისეთი დეპუტატი, რომელსაც მხოლოდ წინასაარჩევნოდ ჯი არ გაახსენდებით, არამედ ოთხი წლის განმავლობაში, ყოველდღიურად, იცხოვრებს თქვენი პრობლემებით. ნაძალადევში მექნება დეპუტატის ოფისი, რომლის ჯარიც თქვენთვის არასდროს დაიხურება. თუ ჩემს ბიოგრაფიას გაეცნობით, ალბათ, ამ სიტყვების სიმართლესაც იოლად ირწმუნებთ: 10 წელი სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში ქართველი ხალხის ინტერესებს ვიცავდი. დავთმე წარმატებული ჯარიერაცა და გარანტირებულად უზრუნველი ცხოვრებაც იმიტომ, რომ ახლა აქ, სადაც ყველაზე მეტად უჭირს ჩვენს საზოგადოებას, გამოვიყენო ჩემი ცოდნა და გამოცდილება. დეპუტატის მანდატი გასამდიდრებლად არ მჭირდება, ისედაც მაქვს ყველაფერი, რაც ადამიანს ჯარგი ცხოვრებისთვის სჭირდება. ბიზნესი ჯი არც აქამდე მქონია და არც ამის მერე მინდა მქონდეს. დარწმუნებულები იყავით, რომ არასდროს გამოვიყენებ თქვენს ნდობას ჩემი პირადი ინტერესებისთვის.

ჩემი ,,ნაჯლი" ყოფილა, რომ ნაძალადევში არ დავბადებულვარ. ჯი ბატონო, მართალია, რომ ამჟამინდელი დეპუტატი აქ დაიბადა, თუმცა, როგორც ჯი თქვენს ხარჯზე გამდიდრდა, ვაჯეში გადაბარგდა საცხოვრებლად. მე ჯი გეუბნებით, რომ მოვდივარ აქ წრფელი გულით და თქვენგან გაქცევას არსად ვაპირებ.

ნაციონალური მოძრაობა 9 წელია მართავს საქართველოს, მერაბ სამადაშვილი ჯი 12 წელია ფეოდალივით გრძნობს თავს ნაძალადევში. რამდენ რამეს დაგპირდნენ ისინი ამ ხნის განმავლობაში? ჯარგად მიმოვიხედოთ და, თუ 1 პროცენტით მაინც შეასრულეს დანაპირები, ამისთვის მადლობა ვუთხრათ და გავისტუმროთ, დანარჩენი 99 პროცენტის მიღწევა ერთად მოგვიწევს.
მინდა, თქვენთან ერთად ავიხდინო ,,ქართული ოცნება" და უსამართლობითა თუ ძალადობით დათრგუნული ხალხის ნაცვლად, წელგამართულ და საკუთარ ძალებში დარწმუნებულ თანამემამულეებს ვხედავდე.
ვიმედოვნებ, რომ 1 ოქტომბერს ჩემს გვერდით დადგებით და მეც გპირდებით, რომ, მომდევნო 4 წლის განმავლობაში, მე ვიდგები თითოეული თქვენგანის გვერდით.

ნაძალადევი არ არის ერთი ჯაცის საკუთრება - ცვლილებების დროა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ყველა უმუშევარი თავისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამისად დასაქმდება;

- შეიქმნება საოჯახო და მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი და მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა ქვეყნის პრიორიტეტი გახდება;

- ელექტროენერგიისა და ნაგვის გადასახადი ერთმანეთისგან განცალკევდება; არ იარსებებს კოლექტიური მრიცხველები; შემცირდება კომუნალური გადასახადები. ძველი კომუნალური დავალიანებები გადაიხედება და მოსახლეობა მათი გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლდება;

  არ დავუშვებთ ფასების ზრდას და ინფლაციას! მოხდება საწვავის, მედიკამენტებისა და სხვა საქონლის ფასების კლება;

- ყველა ასაკის ნაძალადეველი მიიღებს ჯანმრთელობის დაზღვევას, სადაც შევა სასწრაფო და გადაუდებელი დახმარება, ამბულატორიული და ჰოსპიტალური მომსახურება, ორსულთა მოვლა და მშობიარობა, უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობა (მათ შორის სხივური და ქიმიოთერაპია), გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა მკურნალობა (შუნტირება, სტენტირება) და სხვ;

- ყველა პენსიონერი მიიღებს პენსიას არანაკლებ საარსებო მინიმუმისა. საარსებო მინიმუმი გადაანგარიშდება არსებულ ფასებთან მიმართებაში;

- საბავშვო ბაღები იქნება უფასო, სასკოლო წიგნები კი - ხელმისაწვდომი; ყველა ნიჭიერ ახალგაზრდას ექნება განათლების მიღების შესაძლებლობა; განათლების სისტემიდან აღმოიფხვრება პოლიციური რეჟიმი;

- ამუშავდება უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ფულადი დახმარების სისტემა;

- ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რათა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა მიიღონ სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურება, განათლება და გაუჩნდეთ დასაქმების შესაძლებლობა. მათზე მზრუნველი ოჯახის წევრები სახელმწიფოსგან მიიღებენ ადეკვატურ მხარდაჭერას;

- შეიქმნება ერთ მილიარდიანი ,,სოფლის მეურნეობის განვითარების" ფონდი და ქალაქი ჯანსაღი ქართული პროდუქტით მომარაგდება;

- დავიცავთ ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, რათა მათ შეძლონ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ველოდებით

- ნაძალადევის ყველა ქუჩაზე მოწესრიგდება მიწისქვეშა კომუნიკაციები და საკანალიზაციო სისტემა, კეთილმოეწყობა ყველა მიუვალი გზა, ყველა ოჯახში იქნება ბუნებრივი აირი და ნაძალადევის მოსახლეობა სასმელად მთელი წლის განმავლობაში საუკეთესო წყალს მიიღებს;
- საბოლოოდ გადავწყვეტთ მიწებისა და ბინების დაკანონების საკითხს; სტიქიით დაზარალებულთათვის შეიქმნება სპეციალური ფონდი;
- ვიბრძოლებ ამ უსამართლო ხელისუფლების მიერ პრობაციონერად ქცეული ადამიანების პირობითი მსჯავრის გასაუქმებლად; გადაიხედება ყველა უკანონო პატიმრის საქმე მათი გათავისუფლების მიზნით;
- ვიქნები ინიციატორი და მხარს დავუჭერ ყველა იმ კანონს, რომელიც საქართველოს დეოკუპაციას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და დევნილთა ღირსეულ დაბრუნებას მოემსახურება. დაბრუნებამდე კი, დევნილებს ცხოვრების ღირსეული პირობები ექნებათ უზრუნველყოფილი;
- ვიწყებთ მუშაობას მიწისძვრით დაზარალებულთათვის სპეციალური ფონდის შესაქმნელად, რათა სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულებს უსაფრთხო საცხოვრისი ჰქონდეთ;
- ნაძალადევის რაიონში ფუნქციონირებას დაიწყებს მოზრდილთა პოლიკლინიკა;
- ნაძალადევში აღვადგენთ და კეთილმოვაწყობთ ყველა სკვერს (მათ შორის კიკვიძის ბაღს). ჩვენი რაიონი თბილისში ყველაზე გამწვანებული რაიონი იქნება;
- ცოტნე დადიანის 134 ნომერში მდებარე სპორტული კომპლექსი ,,მართვე" ულტრათანამედროვე სპორტულ კომპლექსად იქცევა. კეთილმოვაწყობთ ამავე კომპლექსთან მდებარე საფეხბურთო სტადიონს და აღვადგენთ საცურაო აუზს;
- ნაძალადევის რაიონში მოქმედი გიორგი შავგულიძის სახელობის თეატრი განახლდება და მისი სახით რაიონში ძლიერი კულტურული ცენტრი შეიქმნება;
- თემქაზე აღდგება და ფუნქციონირებას დაიწყებს კინო ,,სიხარული";
- ლოტკინის გორაზე აღდგება სანერგე მეურნეობა, რაც ადგილობრივთა დასაქმებას შეუწყობს ხელს;

ნაძალადევის მომავალი შენს ხელშია!

,,თეა წულუკიანი ერთი შეხედვით ნაზი აგებულებისაა, თუმცა ის ძალიან ძლიერი და მებრძოლი ქალბატონია. მე მას უდიდეს პატივს ვცემ და ძალიან მიყვარს. ჩემი შეფასება ცოტა უხერხულიც კია, თუმცა ფაქტია, თეა უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე იურისტია, რომელიც სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მუშაობდა და მისი წყალობით იქ ახალი პრეცედენტები გაჩნდა გირგვლიანის, ასანიძის, ჯუზმინის საქმეებზე... მას ქონდა ძალიან კარგი ადგილი, ძალიან თბილად გრძნობდა თავს და კარგ სპეციალისტად ითვლებოდა. ამის მიუხედავად, თეა საკუთარი ნებით გადადგა თანამდებობიდან. გადადგა მხოლოდ იმიტომ, რომ აქტიური მონაწილეობა მიეღო თავისი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩვენ ეს უნდა დავუფასოთ თეას და მე პირადად მისი დიდი მადლობელი ვარ", - **ბიძინა ივანიშვილი** კოალიცია ,,ქართული ოცნების" ლიდერი

,,ნაძალადევისთვის, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნისთვის, ცვლილებების დღე დადგა. შიშზე დამყარებული სახელმწიფო არაფრად ვარგა. საქართველოს მოქალაქეებმა მშვიდობიანად უნდა გავისტუმროთ მოძალადე ნაციონალები. ვურჩევ მათ, დემოკრატიული გზით წავიდნენ და ნიურნბერგის პროცესის აუცილებლობას ნუ შექმნიან, გადააბარონ ხელისუფლება ღირსეულ ადამიანებს. მე მხარს ვუჭერ ,,ქართულ ოცნებას" და ამ რაიონში პროფესიონალ, განათლებულ ქალბატონს - თეა წულუკიანს", - **ნოდარ მგალობლიშვილი**, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენოსანი, ნაძალადევის მკვიდრი

,,ძალიან ძნელია, ვინმეს ანდო შენი შვილების მომავალი, მშობლების კეთილდღეობა და სამშობლოს განვითარება. თეა წულუკიანი ის იშვიათი გამონაკლისია, ვისაც თვალდახუჭული ვენდობი, რადგან უდიდეს პატივს ვცემ პროფესიონალიზმისთვის, გულწრფელობისთვის, სიმტკიცისთვის, სიძლიერისთვის, შეუპოვრობისთვის, სამართლიანობისთვის!" - **ნიკა თავაძე**, მსახიობი, კ.მარჯანიშვილისა და ი.გოგებაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

,,1 ოქტომბერს, ჩემს ქვეყანაში იზეიმებს დაჯარგული ზნეობა. ერთმანეთში გვერდით დგომით აღვადგენთ შეურაცხყოფილ, მივიწყებულ ღირსებას!" - **მარლენ ეგუტია**, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ნაძალადევის მკვიდრი

,,ჩემს აღტაცებას ვერ ვმალავ და თაყვანისცემით ვიდრეკ მუხლს თეა წულუკიანის წინაშე, რომლის პეპელასავით ნაზ სხეულშიც ჟანა დარკისეული სულია გამომწყვდეული, ვის სულშიაც ადამიანებისადმი უშრეტი სიყვარულია დავანებული და მთელი მისი ნაყოფიერი და წარმატებული მოღვაწეობა, სამშობლოსა თუ საზღვარგარეთ, ამ სიყვარულითაა შტაგონებული", - **მერაბ მეტრეველი**, მოქანდაკე, პოეტი, ნაძალადევის მკვიდრი

,,იმისათვის, რომ საქართველო შედგეს როგორც სრულყოფილი სახელმწიფო და ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი გახდეს, ყველა დარგსა თუ სფეროში თითო თეა წულუკიანი უნდა გვყავდეს!" - **ნატა მურვანიძე**, მსახიობი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კ. მარჯანიშვილისა და ი.გოგებაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი

,,იმ მიზეზის გამო, რომ სვანური რკინის ხასიათის მქონე ქართველმა გოგონამ, დიდი ჯონჯურენციის მიუხედავად, ძალიან მალე დაიმკვიდრა თავი საერთაშორისო ორგანიზაციაში, მე მას უბრალოდ ერთ-ერთი ,,რენესვანსი" ვუწოდე", - **მინდია უგრეხელიძე**, სამართალმცოდნეობის დოქტორი და პროფესორი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე (1990-1999 წწ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე (1999-2008 წწ.)

ეს ადამიანები ვინ არიან?

ნაძალადევის პრობლემების გადაჭრას მებრძოლი

პროფესიონალი სჭირდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ბიოგრაფია ორ წინადადებაშიც შეიძლება ჩაეტიოს: ვარ იურისტი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი და მაქვს საჯარო მმართველობაში მაგისტრის ხარისხი. ათი წელი ვიმუშავე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. დღეს ,,ქართული ოცნების" წევრი და ნაძალადევის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვარ. ცოტა უფრო ვრცლად და გულწრფელად კი ასე იყო:

დასაწყისი

დავიბადე 1975 წლის 21 იანვარს ავთანდილ წულუკიანისა და მანანა შანიძის ოჯახში. მამა მესტიის რაიონის სოფელ ზემო ლუჰადან იყო. მან იურისტის კარიერა ტყიბულში დაიწყო და იქვე შეხვდა დედას-თბილისელ გოგოს ელბაქიძის დალმართიდან. დედა ინგლისური ენის სპეციალისტია. 1977 წელს დაიბადა ჩემი ძმა-ბათუ წულუკიანი. გამზარდა ბებიამ, მერი თიკანაშვილმა, რომელიც ლოტკინიდან იყო. ბაბუა-ალექსანდრე შანიძე-პოეტი მყავდა და სულ მეუბნებოდა, მწიგნობარი ქალი უნდა დადგეო. მე და ჩემს უმცროს ძმას მუდმივად ცხოვრების სირთულეებზე გველაპარაკებოდა. არ გვანებივრებდა, თუმცა ყველა ჩვენს სურვილს ასრულებდა. დედა ძალიან თბილი და დამთმობი იყო, მამა კი-ყოველთვის მომთხოვნი. პირველი, რაც მახსოვს ბებია-ბაბუას სახლია გაგარინზე, კარადის უკან სამალავით, სადაც ხელსაც ვერავინ მაწვდენდა და საიმედოდ ვიმალებოდი ხოლმე.

მალევე ჩემი ოჯახი უზნაძის ქუჩაზე გადავიდა და მეც 23-ე (ფრანგული ენის გაძლიერებულ) სკოლაში შევედი. ეს სკოლა დარჩა ჩემს ცხოვრებაში იმის მაგალითად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ხარისხიანი განათლების მიღება. რთულ ბავშვად არ ვითვლებოდი. ბებიამ მიმაჩვია მეცადინეობას პირველ ორ წელიწადს და ამის შემდეგ აღარც არავის შეუმოწმებია, რას ვსწავლობდი.

მეათე კლასში ვიყავი, როცა გაცვლითი პროგრამით სამი ფრანგი ბავშვი ჩამოვიდა საქართველოში. ერთ-ერთი მათგანი-სესილი, ჩემს ოჯახში ცხოვრობდა. შემდეგ ჩემი ჯერი დადგა. ჩატარდა კონკურსი საფრანგეთში ქართველი ბავშვების გასაგზავნად. მოხდა ისე, რომ გავიმარჯვეთ სამმა: თორნიკე გორდაძემ, გურამ გოგეშვილმა და მე. 16 წლის ბავშვები წავედით საფრანგეთში. მე სესილის ოჯახში-ლიონში-მოვხვდი. ჩემს ფრანგ მშობლებს-ქიმიკოს პოლ ნავერგონისა და პედაგოგ ანიეს მიშალეს-9-16 წლის ასაკის 5 შვილი ჰყავდათ: რეჟისი, ფაბრისი, ბორისი და სესილი. განსაკუთრებით ვმეგობრობდით მე, სესილი და ყველაზე უმცროსი ძმა. უფროს ძმებთან ხშირად ვჩხუბობდით. გარდატეხის ასაკის მასობრივი ჯანყი იდგა ოჯახში.

სესილი ჩემს ნამდვილ დად იქცა. მის შვილს ჩემი ნათლული ჰქვია იმის მიუხედავად, რომ რელიგიური მწამსის სხვაობის გამო ვერ მოვნათლე. ამ ოჯახმა თავისიანად მიმიღო. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ასე ძალიან მიყვარს საფრანგეთი. რომ არა ეს ოჯახი, შესაძლოა პირველივე წელს გამოვქცეულიყავი. მქონდა მუდმივი ბრძოლა საკუთარ თავთან, სხვებთან, გარემოსთან, განსხვავებულ კულტურასთან. არ მტოვებდა განცდა-საქართველოდან კონკურსის შედეგად მხოლოდ სამნი აგვირჩიეს და უკან შერცხვენილი ვერ დავბრუნდებოდი.

ჩემი იქ ყოფნა საქართველოში სამოქალაქო ომის პერიოდს დაემთხვა. რამდენიმე დღე გათიშული იყო ტელეფონები, მაშინ არ არსებობდა ელექტრონული ფოსტა და მობილური კავშირი. მხოლოდ ფრანგული ტელეარხების საშუალებით ვუყურებდი, როგორ ესროდნენ ქართველები თბილისში ერთმანეთს. ჩემმა ძმამ მოიფიქრა სქემა, როგორ შეემსუბუქებინა ჩემთვის ეს მძიმე ყოფა და ყოველდღე მიგზავნიდა წერილებს. მისი გათვლით, კვირაში 4 წერილი რომ დაკარგულიყო, სამი მაინც მომივიდოდა და ყოველ მეორე დღეს მაინც მექნებოდა თბილისიდან ახალი ამბავი. მიღებულ წერილს ჩემი ფანგული ოჯახი ტელევიზორის თავზე დებდა და, როცა სკოლიდან დაბრუნებულს კარს მიღებდნენ, პირველ რიგში ტელევიზორისკენ ვიყურებოდი. ამ წერილებმა გამაძლებინა....

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტი და ENA

სკოლის დამთავრების შემდეგ, 1992 წლის აგვისტოში, დავბრუნდი თბილიში. 17 წლის ასაკში ისევე მოვიქეცი, როგორც ბევრი ახალგაზრდა-მამის სურვილს მივყევი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ახლადგახსნილ საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე ჩავბარე. კათედრას ალექსანდრე რონდელი ხელმძღვანელობდა. რონდელმა უნივერსიტეტის ბალიდან აუდიტორიაში შეიყვანა სტუდენტები და ჩემს ახალგაზრდულ ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა. მან მოახერხა და რალაცნაირად დაგვაჯერა, რომ ის, რაც ხდება, დროებითია და მომავალი არსებობს.

1995 წელს ალექსანდრე ჩიკვაიძემ საგარეო საქმეთა სამინისტროში დიპლომატიური აკადემია გახსნა, სადაც პარალელურად სამი წელი ვისწავლე. როცა აკადემიას ვამთავრებდით, იმჟამინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა შექმნა საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრი, რომელსაც ალექსანდრე რონდელი ჩაუდგა სათავეში და მეც წამიყვანა სამუშაოდ. ჩვენი ოფისი საკონსულოს ბოლო სართულზე იყო, სადაც დევნილები ცხოვრობდნენ... ცენტრისთვის სამი ოთახი გამოყვეს. ვმუშაობდით: ირაკლი ბურდიღაძე, მე, გიორგი ხელაშვილი, ეკა ტყეშელაშვილი, ვახტანგ ჯაოშვილი, შოთა უტიაშვილი...

1998 წელს ისევ საფრანგეთში დავბრუნდი.ჩემი ოცნების სასწავლებელში-საფრანგეთის სახელმწიფო მართვის სკოლაში (NA) ჩავირიცხე. ეს სკოლა, რომელიც შარლ დე გოლმა დაარსა, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს ექვემდებარება და პრეფექტებს, სხვა მაღალჩინოსნებსა და ადმინისტრაციული იუსტიციის მოსამართლეებს ამზადებს. ყველა ის ფრანგი, რომელსაც მაღალ დონეზე სახელმწიფო სამსახურში სურს მუშაობა, ამ სკოლაში მოხვედრაზე ოცნებობს. ისე მოხდა, რომ ამ სკოლაში პირველი ქართველი სტუდენტი ვიყავი.

ENA-დან სტაჟირებაზე საფრანგეთის სარტის დეპარტამენტში გამგზავნეს. ქალაქ ლე მანის პრეფექტის კაბინეტში მუშაობისას ქალაქის რთულ უბნებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების მოგვარება მევალებოდა. მოხუცთა და ბავშვთა სახლების პრობლემები, წყლით მომარაგების სისტემა, გზები, ქუჩაში მანქანების დაწვა-ის პრობლემები იყო, რომელთა მოგვარებაზეც ფრანგულ პოლიციასთან და სახელმწიფო მოხელეებთან ერთად ვმუშაობდი. ორ წელიწადში მივიღე მაგისტრის წოდება საჯარო მმართველობაში და თბილისისკენ გამოვემგზავრე.

სტრასბურგის სასამართლო

თბილისში დაბრუნებისთანავე გავაცნობიერე, რომ დიპლომატია, რომლის სწავლასაც 8 წელი შევალიე, ჩემი საქმე არ იყო. მოლაპარაკებებსა და პროტოკოლზე მეტად სამართლებრივი საკითხები მაინტერესებდა. თუმცა, სამსახური ვერსად ვიპოვე. იმ პერიოდში სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში იურისტის ვაკანსია გამოცხადდა. ევროსაბჭოს კონკურსი გავიარე, შტატიანი თანამშრომელი გავხდი და ისევ საფრანგეთში დავბრუნდი. ცოტა ხანში მივიღე უფროსი იურისტის წოდება, ვიყავი სასამართლოს რეგლამენტის კომიტეტის წევრი, ბოლოს-მომხსენებელი ერთი მოსამართლის მიერ განსახილველ საქმეებზე. საერთაშორისო ორგანიზაციაში თავის დამკვიდრება რომ შევძელი, ამას უბრალო მიზეზს-ჩემს სვანურ ხასიათს ვუმადლი.

ჯამში 10 წელი ვიმუშავე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში და ეს ყველაზე ნაყოფიერი წლები იყო პროფესიული თვალსაზრისით. ჩემი საქმე საქართველოდან, ნაწილობრივ, რუსეთიდან და საფრანგეთიდან შესული საჩივრების შესწავლა, მათი ანალიზი და გადაწყვეტილების დაწერა იყო.

იმ დროს, როცა მუშაობა დავიწყე, სულ სამი საქმე იყო საქართველოდან, მაგრამ 2004 წლიდან, საქართველოდან 300 პროცენტით იმატა საქმეებმა. მუშაობა მიხდებოდა პატიმრების, უსამართლო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების, საკუთრების უფლების დარღვევის საქმეებზე. მარტო ვიჯექი სტრასბურგში ჩემს ქალაქდებთან და ვხედავდი, რომ საქართველოში შემოქმედ ფსევდოდემოკრატია, რომელიც დამყარებულია ძალადობაზე. ვხედავდი, როგორ აიძულებენ ადამიანებს თავისუფლების სანაცვლოდ სხვა გააუბედურონ. კულმინაცია იყო ორთაჭალის ციხეებში მოწყობილი სასაკლაო ბაჩო ახალაიას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დირექტორობისას. ამ დროს მივხვდი, რომ სამართალი და მართლმსაჯულება საბოლოოდ მოკვდა და ქვეყანა გადავიდა ბოლო სტადიაზე, სადაც სიცოცხლე უკვე აღარაფერს ნიშნავს. 2006 წელს, ამას დაემატა გირგვლიანის საქმე... იქაური კოლეგები ხშირად მსაყვედურობდნენ ნებისმიერ ახალ საქმეზე მტკივნეულად რეაგირების გამო.

ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებასაც არ დავუტოვებივარ „უყურადღებოდ": ჯერ კიდევ 2000 წელს, გვიან შემოდგომაზე, მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც მაშინ იუსტიციის მინისტრი იყო, თავისი მოადგილეობა შემომთავაზა. გარდა იმისა, რომ სააკაშვილთან მუშაობის არანაირი სურვილი არ მქონდა, 25 წლის მინისტრის მოადგილეობაც სასაცილოდ მეჩვენებოდა. რევოლუციის მერე, სალომე ზურაბაშვილის საშუალებით შემომთავაზეს საფრანგეთში საქართველოს ელჩობა, ან საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეობა. სალომე ზურაბაშვილისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ვერც ამ შემთხვევაში დავუშვი, რომ ჩემი უფროსი მიხეილ სააკაშვილი ყოფილიყო.

სააკაშვილისა და მისი გუნდის გულწრფელობასა და ქმედებების სისწორის შესახებ ეჭვი ჯერ კიდევ ვარდების რევოლუციამდე გამიჩნდა. 2000 წელს სტრასბურგში ერთ-ერთ არაფორმალურ შეხვედრაზე გავიცანი საქართველოს მაშინდელი იუსტიციის მინისტრი, ახალგაზრდა მიხეილ სააკაშვილი. იმ პირველ შეხვედრაზევე გამოიკვეთა, რომ ჩვენი მოსაზრებები და მისწრაფებები ერთმანეთს ვერ დაემთხვეოდა. საბოლოოდ მართალი აღმოვჩნდი. უსამართლო სასამართლოს, ადამიანების დევნასა და დაშინებას, ქვეყანაში მზარდ ტოტალიტარიზმს, საგარეო საფრთხეების ასე ზერელად ყურებას ყველამ ვიცით, რაც მოჰყვა 2008 წელს...

„ეგებ შეაჩეროთ ომი"

არ ვიცი სიტყვები, რომელთაც 2008 წლის აგვისტოს ომისას განცდილი ჩემი ტკივილისა და სასოწარკვეთის გამოხატვა შეეძლოს. ეს დღეები იყო, ალბათ, ერთადერთი გამონაკლისი, როდესაც თავდაჯერებულობა დავკარგე. 11 აგვისტოს, სალამოს, იუსტიციის სამინისტროდან დავით თომაძემ დამირეკა სტრასბურგში. მითხრა, რომ საქართველო ცუდ მდგომარეობაშია, სამინსიტროს ევაკუაცია გამოცხადდა და მინდა, რომ საქართველოს სახელით რუსეთის წინააღმდეგ ტელეფონით საჩივარი შემოვიტანოო. მაშინვე სამსახურში დავბრუნდი და თომაძეს ვთხოვე, ელექტრონული სახით წერილობითი დასტურიც გამოეგზავნა. ელექტრონული ფოსტით მოდიოდა დაბომბილი გორის ფოტოები, საშინელი ფოტოები... სასამართლოს მთავარი გამწესრიგებელი, ერიკ ფრიბერგი საკუთარ კაბინეტში ვიპოვე და გაუგებრად, გაცხარებით მივაყარე საქართველოდან მოსული ამბები. გაოგნებული მიყურებდა. ვიმეორებდი ერთ ფრაზას-„რუსები მოდიან", ის კი ვერ ხვდებოდა, საით მოდიოდნენ რუსები-სასამართლოში, სტარსბურგში თუ კიდევ სადმე სხვაგან... ძლივს მოვიკრიბე ყურადღება, რომ გასაგებად ამეხსნა ყველაფერი. ფრიბერგმა დაუყოვნებლივ სასამართლოს მაშინდელი თავმჯდომარე, ჟან-პოლ კოსტა ჩააყენა საქმის კურსში.

საჩივარი დასავლეთ ევროპელ იურისტს გადასცეს, რათა არც ქართველს და არც რუსს მასთან შეხება არ ჰქონოდა. მეორე დილით ადრე, იუსტიციის მინისტრმა ნიკა გვარამიამ დამირეკა და საჩივრის ბული მოიკითხა. მითხრა, რომ იცის როგორი რეპუტაცია მაქვს სასამართლოში და მთხოვა - ,,ეგებ შეაჩეროთ ომი". ,,ავზარი დამეცა, რაღა უნდა ყოფილიყო იმაზე უარესი-თუ ომის შეჩერება ჩემს იმედად იყო... მე ის დავამშვიდე და ვუთხარი, რომ გადაწყვეტილება თითქმის მიღებული იყო. ჟან-პოლ ჯოსტამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო-რუსეთსაც და საქართველოსაც სასამართლომ სიცოცხლის ხელყოფისა და მოქალაქეთა დაზიანებების შეწყვეტისკენ მოუწოდა. სტრასბურგის სასამართლოს ისტორიაში ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო-ეს იყო რეალურად მოწოდება ომის შეჩერებისკენ...

წამოსვლა

2008 წლის მძიმე დღეების შემდეგ, მალევე მივხვდი, რომ ასე ვეღარ გაგრძელდებოდა. ღმერთმა ბევრის საშუალება მომცა და ის ადამიანები, რომლებიც იმსახურებენ იგივეს და უფრო მეტსაც ჩემს ქვეყანაში, ძალიან ცუდ დღეში იყვნენ. მივხვდი, რომ დადგა ,,გაცემის დღე".

სამსახურიდან რომ მოვდიოდი, ამის შესახებ სამი თვით ადრე ვაცნობე ხელმძღვანელებს, რადგან ასე მოითხოვდა არსებული წესი. 10 წლის განმავლობაში ეს იყო მეორე შემთხვევა, როდესაც საერთაშორისო მოხელის თანამდებობაზე უარი საკუთარი ნებით თქვა სასამართლოს თანამშრომელმა. ჩემი სამსახური გულისხმობდა არა მხოლოდ ძალიან ნაყოფიერ იურიდიულ პრაქტიკას, არამედ ბევრ მატერიალურ სიკეთესა და სტაბილურად მზარდ კარიერასაც: ხელფასს თვეში 8 ათას ევროს, ნორმირებულ შვებულებას-43 დღეს წელიწადში, სტანდარტულ სამუშაო დღეს, რომელიც საღამოს 6 საათზე სრულდება და საშუალებას-იმუშავო საერთაშორისო მოხელედ 65 წლის ასაკამდე და შემდეგ უზრუნველად იცხოვრო... მე არაფერს ვნანობ. შეგნებულად დავთმე ჩემი კარიერაც და დაოჯახების პერსპექტივაც რამდენიმე წლით გვერდზე გადავდე.

დღეს

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 2010 წლიდან, ,,თავისუფალი დემოკრატების" წევრი გავხდი. ახლა ყველანი ქართული ოცნების ახდენისთვის ვიბრძვით. ვცხოვრობ სოფელ დიღომში. მიყვარს სოფელი და იქ თავს უფრო მშვიდად ვგრძნობ. ყველაზე მეტად მიყვარს მთები. ბაბუამ შემაყვარა სვანეთში, როცა სამუშაოდ მიმავალი პატარას გოდორში ჩამისვამდა ხოლმე. მოყვარული ალპინისტის სტატუსით დავლაშქრე ჰიმალაის მთები ინდოეთსა და ნეპალში, ალპინისტი არ ვარ და ჯომოლუნგმაზე ასვლის პრეტენზიაც არ მქონია-ჩემს მეგობართან ერთად მხოლოდ საბაზო ბანაკამდე ავედი, რომელიც 5400 მეტრზეა. ყველაზე მაღლა კი აფრიკაში, 5895 მეტრზე, კილიმანჯაროს მწვერვალ უჰურუს (თავისუფლების) პიკზე დავდგი ფეხი...

ახლა ჩვენი ქვეყანაც და მეც გზაგასაყარზე ვდგავართ. როგორი იქნება ჩემი ბიოგრაფიის შემდეგი ნაწილი, ეს უკვე თქვენზეა დამოკიდებული. ჩვენ ერთმანეთის ცხოვრებით ვცხოვრობთ და მეც გულწრფელად მოგიყევით ყველაფერი ჩემს შესახებ.

PX 433/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი 155/6

41

სეხრეთვნო ბლოკი

„ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“

2012

სეკერლეთმეტო ერეთვნები

ბეჭდილი ნაბეჭდები ფოლიო "ბიბინა ივანიშვილი - ქართული ოცნება", 2012, ფიგურული ბინის ზიარული ინფორმაციის კოორდინატორ: ე. ბერეკაშვილი
ლიტოგრაფიული ბინა "ფოლიოს" ოფსეტური ფურცლის ე. N34 N 1/ 40401759 ტირაჟი 15 000 ეკზ. ფასიანი 27.09.2012 AB ბეჭდვა